დადგენილება №64/2020 - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 2020 წლის 1 ოქტომბრამდე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების ყველა სპეციალობის სწავლების დისტანციურ რეჟიმში გადასვლის შესახებ

დადგენილება №64/2020,
11 სექტემბერი, 2020

დადგენილება №64/2020 - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 2020 წლის 1 ოქტომბრამდე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების ყველა სპეციალობის სწავლების დისტანციურ რეჟიმში გადასვლის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის № 820260 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის № 33 სხდომის ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2020 წლის 1 ოქტომბრამდე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების ყველა სპეციალობის სწავლება გადავიდეს დისტანციურ რეჟიმში;
   ა) სრული დატვირთვით სალექციო სააუდიტორიო მეცადინეობები წარიმართოს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, კომპოზიციის, მუს. ტექნოლოგიის, მუს. ჟურნალისტიკისა და ე.წ. საუნივერსიტეტო ზოგად სასწავლო კურსები-ესთეტიკა, პედაგოგიკა, მეთოდიკა, ფსიქოლოგია, ხელოვნებისისტორია, უცხოენა, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია; აგრეთვე სასცენო მეტყველების კულტურა), სალექციო ფორმატის არჩევითი კურსები, მუს. ჟურნალისტიკის კონცენტრაციის სასწავლო კურსები, სპეციალობის კურსი კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე, სპეციალობა (ყველა საშემსრულებლო)

   ბ)ნაწილობრივი დატვირთვით ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართოს საშემსრულებლო სპეციალობებით (კლავიშანი, საორკესტრო სიმებიანი, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი, აკადემიური გუნდი, ჯაზი) გათვალისწინებული სასწავლო კურსების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ მეცადინეობას

2. აკადემიურ პერსონალს დაეგზავნოს აკადემიური საბჭოს მიერ დისტანციური სწავლების ფორმატის რეალიზებისათვის რეკომენდირებული პლატფორმების სია (რიგ შემთხვევაში ინსტრუქციით) კონსერვატორიის ოფიციალური ელ-ფოსტით.

3. თეონა ბუაძეს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს და მაია ვირსალაძეს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანებს დაევალოთ
   - განსახორციელებელ ღონისძიებათა კოორდინირება
   - ტექნიკური პრობლემების მქონე სტუდენტების სიის შექმნა
   - ტექნიკური პრობლემების მქონე პროფესორ-მასწავლებელბის სიის შექმნა
   - აღნიშნული სიების სასწავლო დეპარტამენტისთვის მიწოდება
   - დისტანციური სწავლების მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზების მოგვარების და გადაჭრის გზების დასახვა სამუშაო ჯგუფთან ერთად
   - დეკანებს და მათ კოორდინატორებს დაევალოს მონიტორინგი აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ "ნაწილობრივ" და "სრულად" ჩასატარებელ დისციპლინებზე და მოახდინონ ყველა პრობლემური შემთხვევის იდენტიფიცირება სამომავლოდ ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისათვის.
   - დეკანებს და მათ კოორდინატორებს დაევალოს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად საანსამბლო, კამერული მუსიკის, საოპერო მომზადების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, ორკესტრის დისციპლინებში გეგმის შემუშავებისათვის

4. მიმართულების ხელმძღვანელებს ევალებათ მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს დისტანციურად ჩასატარებელი მეცადინეობების პლატფორმის შესახებ

5. დისტანციური სასწავლო რეჟიმის მონიტორინგი და მათი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისთვის მიწოდება დაევალოს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სპეცილისტს - დავით ხავთასს, სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტს რუსუდან თაბაგარს

6. ნანა კალანდაძეს, სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს დაევალოს
   - სამეცადინო ცხრილის გაკეთება და მიწოდება მონიტორინგზე პასუხისნგებელი პირებისთვის
   - კლასის გამოყოფა იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც ტექნიკური პრობლემის გამო ვერ ახერხებენ საკუთარი ლოკაციიდან დისტანციური მეცადინეობის უზრუნველყოფას
   - კლასის გამოყოფა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ინსტრუმენტზე მეცადინეობა შეუძლიათ მხოლოდ კონსერვატორიაში (დასარტყამი, არფა, სტუდიაში მუშაობა), ან არ ცაქვთ სამეცადინო ინსტრუმენტი სახლში

7. მაია ტაბლიაშვილს, სასწავლო დეპარტამენტის უფროსს დაევალოს ელექტორნული ჟურნალის ყოველკვირეული მონიტორინგი

8. 2020 წლის 1 ოქტომბრამდე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორაში დისტანციური რეჟიმით წარმართული სასწავლო პროცესის ყოველკვირეული მონიტორინგის მიზნით ელექტრონული ჟურნალის დახურვა მოხდეს ყოველი კვირის ორშაბათ დღეს;

9. IT დეპარტამენტმა უზრუნველყოს დისტანციური სწავლების განხორციელებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არ მქონე აკადემიური პერსონალთა დახმარება.

10. თსკ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს
    - კითხვარის მომზადება სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლების შესახებ
    - უზრუნველყოს სტუდენტების კითხვარის ყოველკვირეული დაგზავნა

11. შეიქმნას პედაგოგებისა და სტუდენტებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დისტანციურ რეჟიმში აღმოჩენილი პრობლემების მოგვარების გზებს დასახავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან ერთად

12. ცნობის გაცემაზე მოთხოვნა განხორციელდეს ელ. ფოსტაზე - hr@tsc.edu.ge

13. ქართულენოვანი ცნობა მომზადდეს 2 დღეში და განმცხადებელს გაეგზავნოს ელ. ფოსტით.

14. ინგლისურენოვანი ცნობა მომზადდეს 3 დღეში და განმცხადებელს გაეგზავნოს ელ. ფოსტით.

15. კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეჩერება არ იწვევს ადმინისტრაციის მუშაობის შეჩერებას.

16. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

17. დადგენილება დაეგზავნოს ფაკულტეტების დეკანებს, სასწავლო დეპარტამენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მიმართულების ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

18. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

19. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე